ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2725320

ნომერი: AR1418146

თარიღი : 29.06.2016

გაცემის თარიღი : 20.07.2016

გაცნობის თარიღი : 20.07.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 110 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაქრაძე , N 3/5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ლომსაძე პ/ნ 01019015694
- თბილისი სვანეთის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1418146 29.06.2016 წ. განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ #01.13.05.05.011 საკადასტრო ერთეულზე სავაჭრო ობიექტისა და საწყობის განთავსების მიზნით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების

პირობებში ცვლილებას, გაცნობებთ,
როგორც უკვე გეცნობათ, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ობიექტისა და საწყობის, მაღაზიისა და გაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეთანხმდა პროექტები და გაიცა მშენებლობის ნებართვები. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ნაწარმოები მშენებლობები მიღებულია ექსპლუატაციაში, შესაბამისად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა ვერ განხორციელდება. შესაძლებელია ახალი გამოჯნული მიწის ნაკვეთების საფუძველზე შეთანხმდეს განახლებული პროექტი. გამომდინარე იქიდან რომ არ მოხდა სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინება საკითხი რჩება განუხილველად. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და სამსახურის პოზიციის გათვალისწინების შემთხვევაში სამსახური კვლავ განიხილავს საკითხს კანონით დადგენილ ვადებში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.